ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა, 16 ოქტომბერი 1927 წ. № 122 ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

„ბევრი სახლი უნუგეშო მდგომარეობაშია, მცირეოდენი ნიადაგის შერყევისაგან მოსალოდნელია მთელი შენობა დაინგრეს. ყურადღებას კი არავინ აქცევს“.

(გაზეთებიდან)




მეეზოვე (მოქალაქეს):—არ შეიძლება შენი აქ გავლა! შენი სიმძიმე სახლს შეარყევს და დაანგრევს!

მემწვანილე (ვირს):—ჰაიტ, შე მართლა ვირო! წადარალა; ჯიუტობ?! შენი პატრონის...

ვირი:—რად ყვირი ამხანაგო? ვერა ხედავ ამ სახლსდა ამ განცხადებას!? თავი კი არა მაქვს სასიკვდილოთ გაწირული!

F-924

# 9 საათზე

დილის 9 საათი იქნებოდა, რომ თქვენმა უგულითადესმა მეგობარმა (ვიგულისხმები მე), შეაღო ერთ-ერთი დაწესებულების კარები. მოგეხსენებათ, მუშაობა ახლა 9 საათზე იწყება.

ჩემი უდიდესი სურვილი იყო (და არის ახლაც) სამსახური მეშოვნა როგორმე და მით დამეკმაყოფილებია ჩემი კუჭის კანონიერი მოთხოვნილება საკვები პროდუქტების მიწოდების შესახებ.

— ჰაი, შე მატყუარავ,—მეუბნებოდა კუჭი,—შენ არ იყავი, დამდეგ საოპერაციო წელში რომ მეუბნებოდი, გეგმიანად მოგაწოდებ საკვებ ნივთიერებასო? სად არის შენი დაპირება? რამდენჯერ გადაუხვიე გეგმას და მთელი დღეობით მშიერი დამტოვე? ლამის არის გავხმე და სავსებით შევაჩერო მუშაობა. როგორ გინდა მერე გავატარო საჭმელის მონელების რაციონალიზაცია?

— რა უყო ძმობილო,—ვუპასუხე კუჭს,—ადგილს მპირდებიან და როცა ვიშოვი შენც სამუშაო გექნება. მე და შენი გულისთვის ხომ არ შექმნიან ხელოვნურად თანამდებობას! მოიცადე, შტატების შემცირება ჩატარდება და იქნებ შემდეგ მიმიღონ...

ასეთნაირ მუსაიფში გართულმა შევაღე დაწესებულების კარები, რომ მენახა ყოვლის შემძლე გამგე, ანუ თავმჯდომარე, ანუ მმართველი. ხშირად, ძალიან ხშირად მოვსულვარ ამ დაწესებულებაში, ისევ, როგორც სხვებში, მაგრამ პასუხი ყველგან ერთი მიმიღია:—„შემოიარეთ შემდეგ".

დილის 9 საათი იყო. კარები შევაღე და შევიჭვრიტინე: წინდახედული კაცი ვარ, ვინ იცის, იქნებ გამგე დერეფანში გამოვიდა და შემეჩეხა, ან გვერდი წამკრა, ან ცუდ ხასიათზეა და უცხო კაცი დამინახა დაწესებულებაში... ერთი სიტყვით, შევიჭვრიტინე მხოლოდ. დერეფანში არავინ არის. სრული სიჩუმეა. მხოლოდ რომელღაც ოთახიდან მოისმის ნელი ღიღინი. ფეხაკრეფით შევედი. კანცელარიაში არავინ არის. საქმეთა მმართველის კაბინეტი დაკეტილია. გამგის ორივე მოადგილეების კაბინეტებში არავინ არის. არც დამგველია, არც შიკრიკი.

გამგის კაბინეტს მივუახლოვდი. ღიღინი გარკვევით მომესმა. გული ამითანცქალდა. ვატყობ გამგეა, მაგრამ ასე ადრე რამ მოიყვანა? ალბათ მაგალითს უჩვენებს თანამშრომლებს, რომ ისინიც ასე ადრე მოვიდენ.

„დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩა-ა-ანან"... მომესმა სიმღერა კაბინეტიდან.

— სწორედ თანამშრომლებზე ამბობს ალბათ,—გავიფიქრე გულში. ჰოი გამგეო! ერთი ადგილი მომეცი და ყოველთვის უთენიას აქ ვიქნები,—ვფიქრობ გულში და თან ყურს უგდებ სიმღერას.

— ახ ეტო დივნი სონია-ა-ა... ღიღინობს გამგე.

— ვინ არის ნეტა ის ბედნიერი სონია,—ვფიქრობ მე,—ნეტავი ვიცნობდე, იქნება საქმე მომიწყოს..

— რად გამაჩინე მე ღმერ-თო-ო... დაიწყო სხვა ჰანგზე გამგემ.

— ვინ რად გაგაჩინა, შენ?—ვეკითხები გულში მომღერალს,—შენ თუ საყვედური გაქვს ღმერთთან, მაშ მე დიდი ხანია დიპლომატიური ურთიერთობა უნდა გამეწყვიტა მასთან, ჩემი ასე დაჩაგვრისათვის. შენ გიჭირს ბედნიერო? კაბინეტი გაქვს, ავტომობილი გყავს, ძვლის სათვალეებს ატარებ, ბინა გაქვს, ჯამაგირი და გამოსარჩენი...

— ნუ თუ ჩვენი ცხო-ოვრება, მუდამ ასე იქნება,—დაიწყო მან „არშინ მალ-ალანის" ხმაზე.

— ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასე დარჩეს,—შევეკამათე მე აქედან (გულში, რასაკვირველია), ჩვენი ცხოვრება რომ ასე გაგრძელდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ გამგეთ დარჩე მუდამ და მე უმუშევრად... მაგას ერთი წუთითაც არ დაუშვებ!

— თავო ჩემო, ბედი არ გიწერია-ა-ა... ჩააკაკანა კაბინეტში მჯდომმა.

— ერთი ამას დამიხედეთ! შენ თუ ბედი არ გიწერია, მაშ მე ბედის მწერლის ახლოსაც არ გამივლია! ბედიც შენ გიწერია და იღბალიც, თორემ გამგეობას ვინ მოგაშავებდა?

— ადნაჯდი ია ვ ბათომ ეხალ, სპარახოდომ რაზ... მღერის გამგე.

— რასაკვირველია, პირველი კლასის კაიუტით,—ვფიქრობ გულში.

— უდივლაუს, შტო ტეპერ ესტ, შტო ბილო...—ჩაიღიღინა მან კუპლეტი „ამერიკელ ძიადან".

— მართლაც უდივლაუს,—მწარედ გავიცინე მე,—რა იყავი შენ უწინ და რა ხარ ახლა? მამაშენს ღვდლათ უნდა ეკურთხებინე... და ახლა გამგე ბრძანდები... მე კი?.. ყოფილი მთავარდიაკვანი, ახლა სტუდენტი, შენი კაბინეტის წინ ვდგევარ...

ვინ იცის, სანამდე გაგრძელდებოდა ეს სიმღერა და ჩემი გაუთავებელი კამათი, რომ ბოლოს არ გადამეწყვიტა გამგესთან შესვლა.

— ეტყობა კარგ ხასიათზეა,—ვიფიქრე მე,—ვინ იცის, როდის დადგება კიდევ ასეთ ხასიათზე? რომც დადგეს, მე ვერ გავიგებ და რომც გავიგო, ვინ შემიშვებს... სწორედ ახლა არის დრო, არავინ გვაწუხებს, შევალ და ვთხოვ ადგილს... რაც დამემართება დამემართოს!

ნელა, ძალიან ნელა დავაკაკუნე კარები.

არაფერი გაუგონია, სიმღერას მოუმატა.

კიდევ დავაკაკუნე.

ხმა არ გამცა. კრიმანჭულზე გადავიდა.

ჩავახველე.

პასუხი არ არის.

ცხვირს დავაცემინე.

არავითარი გამოხმაურება.

კიდევ დავაკაკუნე.

სიმღერა შეწყდა.

— ვინ არის?

— შეიძლება?

— რა გნებავთ?

— თქვენი ნახვა.

— მობრძანდით,—მომესმა პასუხი და გავიგონე ფეხის ხმა. ეტყობოდა, კარის გასაღებად წამოვიდა.

კარები გაიღო და ზრდილობიანად მიმიწვია. მე თადჩალუნული შევედი კაბინეტში. კართომით თავი ველარ ავიღე, შეხედვის შემეშინდა.

— ვაი თუ გავაბრაზე რომ სიმღერა შევაწყვეტინე,—ვფიქრობდი გულში,—ალბათ სამუდამოთ უნდა გამოვემშვიდობო აქაურ ადგილს..

— დაბრძანდით, დაბრძანდით, აგე სკამი,—მიმიწვია მან ამხანაგურათ. ალბათ გამგე გინდათ.

— დიახ... თქვენი ნახვა... ბოდიშს ვიხდი, სიმღერა დაგიშალეთ...

— იმე, რას უნობ შე კაცო, სიმღერა რა, რომელი დიდი კაცი მე მნახე, რომ სიმღერა ვერ შემაწყვეტინო...

— რა დიპლომატია!ვფიქრობ გულში და მაგიდის წითელ საფარს ჩავცქერი. თავი მაღლა ვერ ავიღე შიშით.

— მაინც ვისი ნახვა გინდოდა?

— თქვენი...

რაზე გინდა კაცო, სადმე გასაგზავნი ხომ არ გაქ რამე?

ეს კი ზედმეტი იყო. აშკარად სჩანდა, რომ გამგე დამცინოდა. გადავწყვიტე თავი მაღლა ამეღო და შემეხედა. შევხედე და გავშეშდი: ჩემს წინ იდგა შიკრიკი, სრულიად ჩვეულებრივი შესახედაობის შიკრიკი, რომელიც ალბათ დამგველის როლსაც ასრულებდა.

— თქვენ ვინ ხართ?

— რა გიკვირს, ჩემო ძმაო, ვინ ვარ და შიკრიკი! ვერ

# კეთილი რჩევა




ტარტაროზი (საბკინმრეწვის მეეზოვეს):—ნაგავსრომ ცოცხავ და ეზოს ასუფთავებ,—ისა სჯობია შიგ შტა-ტი დაჰგავო და გასწმინდო. დამერწმუნე—იქ უფრო საჭი როა შენი ცოცხი!

---

მატყობ თუ?

— მერე... შენ იყავი რომ მღეროდი?

— მე ვიყავი, აბა ვინ ეშმაკი იქნებოდა- კაბინეტს ვალაგებდი და თან ვღიღინობდი...

— კი მაგრამ გამგე სად არის?

— ერიჰაა! შენ გინდა ჩვენი გამგე ამ ალიონზე მოვი-დეს სამსახურში თუ? ხომ ხედავ, ჯერ საქმის მწარმოებე-ლიც არ მოსულა... აქ მართლა 9 საათზე კი არ იწყება მუშაობა... ცოტა მოგვიანებით იწყებენ. ისე მაინც გამგე არ არის ახლა აქ, აგარაკზე წავიდა ცოლის ჩამოსაყვანად და ერთ კვირას იქ დარჩება.

— გამგის მოადგილე სადღაა?

— სიდედრი გაუხდა ავათ და იმას უვლის.

— მერე მოადგილე?

— ცოლს ირთავს და საქორწინოდ ემზადება' სამსა-ხურის დრო არა აქვს.

— საქმეთა მმართველი?

— გუშინწინ ცოლის დღეობა გადაიხადა და ეს ორი დღეა თავი სტკივა; მოგვიანებით მოდის.

— საქმის მწარმოებელი?

— საბუჰხალტერო კურსებზე გამოცდებს აბარებს და აგვიანდება.

— ბუღალტერი?

— სახლში მუშაობს, დილაობით აქ არავინ არ არის და მარტოობა ეზარება.

— მემანქანე ქალი?

— არ ვიცი... ალბათ მანიკიურს იკეთებს... ერთი სი-ტყვით, ათი საათიდან ზოგიეროთები მოვლენ... შემდეგ შე-მოარე, ჯობია.—მიპასუხა კითხვებით თავმობეზრებულმა შიკრიკმა და გამომაცილა კაბინეტიდან.

**ალლარ-ალლარხან.**

„ახალციხეში პურის ფქვილი იმდენად გაძვირდა, რომ ხალხი ხილს და კარტოფილს ეტანება“.



**მოხუცი:** (კინტოს):— შვილო, შავი ფქვილის ასე გაძვირება იქნება?

**კინტო:**—ვა, კუკლაჯან, არ იცი, რომ დღეს მაზანდა აწეულია? მოდი ეხლა ხილი იყიდე და ხვალ ფქვილიც გაიაფდება.



**ტყიბულის მაღაროს მოსამსახურე:** — დედი, სად მიგაქვს ეს ბოთლი.

**ლორთქიფანიძის ქალი:**—აგერ, შვილო, ჩვენს მმართველ კვანტალიანთან... ქე კი ტრაბახობენ ეს ექიმეზი—ქვეყანას ვარჩენთო, და, რა ვიცი,—ის თქვენი მმართველი ჩემს წამალს ხმარობს...

# სახკინმრეწვის ახალი ამბები

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა აღძრა ხელმძღვანელ ორგანოების წინაშე თხოვნა გოსკინპრომი გადატანილი იქნეს ლიხაურში.

**„ვინ არის დამნაშავე“**-ს დადგმის შემდეგ ოზურგეთის მაზრაში რაც ხალხი ცხოვრობდა, ამის ნახევარმა კინო-მსახიობების ხელობას მოჰკიდა ხელი.

ამ სურათში მიიღო მონაწილეობა ორი ათასმა გურულმა: ქალმა და კაცმა, ორას ორმოცდა ათმა ცხენმა და ორმა ჯორმა.

სურათი დაუჯდა გოსკინპრომს 150.000 მანეთი და მიზანსაც მიაღწია.

შეიქმნა კინო-მუშაკების ახალი კადრი, ამ ახალი მუშაკების საუკეთესოდ გამოყენებისათვის წელს კვლავ გაემგზავრა გურიაში **ალიოშა წუწუნავა.**

მან, მართალია, თან წაიყვანა ორი მატარებელი კინო-მომუშავეები, მაგრამ იქაც მოუნდა სამი ათასი კაცის დაქირავება სურათში მონაწილეობის მისაღებათ.

ამბობენ ისეთი მშვენიერი და ძლიერი ფილმა „გამოუყვანია“, რომ არუსტანოვმა არ იცის, გოსკინპრომმა სურათს დაატრიალებს თუ სურათი გოსკინპრომს.

გოგიტიძის აზრით (გოგიტიძის აზრი ხომ ასე ხელწამოსაკრავი არაა) მეორე უფრო მეტი მოსალოდნელია, არუსტანოვი დეპეშას დეპეშაზე უგზავნის წუწუნავას

— ჩამობრძანდით თქვენ და თქვენი ექსპედიციაო, მაგრამ წუწუნავას თურმე გადაუწყვეტია

— სამუდამოთ გურიაში უნდა დავრჩე მე და ჩემი დასიო.

მართლაც და მისი დასის თბილისში ჩამოყვანა ხომ არც ასე ადვილი საქმეა.

ასე და ამნაირად წუწუნავა გურიაში აარსებს მეორე გოსკინპრომს.

დღეს ხმები გავრცელდა,

— ახალი აღმშენებლობისათვის სახელმწიფო ბანკს გადაუდვია სათანადო თანხაო! ტყუილია, თუ მართალი ეს ამბავი, ალაჰმა უწყის.

—:—

უეცრად დაბრუნდა **ბარსკის** ექსპედიცია ჩრდილოეთ-კავკასიიდან. ექსპედიცია მონაწილეობას მიიღებს იმ დისპუტში, რომელიც სამუდამოთ გამოარკვევს საკითხს, თუ ვის უფრო მეტი უფლებები აქვს ექსპედიციის მუშაობის დროს—უპარტიო რეჟისორს თუ პარტიულ თანაშემწეს.

საკითხის გამორკვევის შემდეგ ექსპედიცია ხელახლა გაემგზავრება სამხრეთისაკენ, რადგანაც მას მთელი ჩრდილოეთი უკვე მოვლილი აქვს.

დისპუტში მონაწილეობის მისაღებათ გამოწერილია რუსეთიდან საუკეთესო კინემატოგრაფისტები.

—:—

— **კოლია შენგელაიამ** კავკავიდან ჩამოიყვანა თორმეტი იხვი. *) თითონ ძალიან კარგად არის, მხოლოდ ცოტა გაშავებულა.

— განთქმულმა რეჟისორმა პუშმა დაამთავრა სურათი **„ბოშის სისხლი“.**

არუსტანოვის თხოვნაა,

— „პარავოზი“ და ერთი ორიოდე სხვა რევოლიუციონური სურათი დამიდგიო. პუშმა უარი განაცხადა. ჯერ ერთი ის თხოულობს იმდენ გონორარს, რამდენსაც კულიშოვი, გარდა ამისა ოთხ თანაშემწეს, მათ შორის უმუშევრათ დარჩენილ რეჟისორებს შაქრო ბერიშვილს და კოლია კახიძეს.

—:—

*) შენგელაიამ ერთი გზობა ცხვრებში გაიმარჯვა და ახლა იხვებს დარევია.

რედ.

# დაუპატიჟებელი სტუმრები



**ქალები:**—ამას ვისა ვხედავთ! ჩვენი მიხო... ო. გენაცვალე მიხოჯან... როგორ მოგვენატრე შენი თავი...

**მიხო:**—ჰაი თქვე ჩემანალებო თქვენა; ეხლა მამიგონეთ, როცა ი ვენახში თვალი შავიდა?. წამამყეთ ჰა, ემა ბოდრობებშია, თითო მტევანს ჩაგიგდებთ და ჰაიდა ქალა-ქისაკენ!

---

რადგან რეჟისორ **ჭიაურელი** სურათის დადგმის მოლოდინში ცოტა შეირყა (დაუსრულებელი ლოდინი, რა კარგს დამართებს ადამიანს), სახკინმრეწვის ადმინისტრაციის განკარგულებით მას მიუჩინეს მეთვალყურეთ ცნობილი საზღვარ-გარეთელი ფსიხო-პატალოგი **მაროტი.**

—:—

— სოხუმში გაგზავნილი მიხინის კინო-ექსპედიცია გაპარულა ყაბარდოში, სადაც „შურისძიების“ დადგმის დროს დატრიალებულ სისხლის ღვრას ისე უმოქმედია რეჟისორზე, რომ მას მოუკლავს ოპერატორი **ნივიცკი.** გამგეობის განკარგულებით გაგზავნილია დიდი რეზერვი, რადგანაც მოსალოდნელია ახალი სისხლის ღვრა.

—:—

— რეჟისორი **მაკაროვი** ძალიან საარაკო სიჩქარით (არაჩვეულებრივი ამბავია გოსკინპრომისთვის!) შეუდგა თავის პირველი სურათის მონტაჟს. სისწრაფე გამოწვეულია ცნობილ კინო-მოღვაწე ლეონიდოვის დეპეშით, რომელიც ექვსი თვით აპირებს თბილისში ჩამოსვლას სპეციალურად მაკაროვის სურათის მონტაჟის სახელმძღვანელოთ.

—:—

— შაქრო ბერიშვილს, მას შემდეგ, რაც იმას „მენავთე აბასა“ წაართვეს გადაუწყვეტია ერკოპში შევიდეს ნავთის გამყიდველათ. რადგანაც მოსალოდნელია, რომ მოთმინებიდან გამოსული უმუშევარი რეჟისორი ამ ნავთს მოიხმარს გოსკინპრომის დასაწვავად.

ფაბრიკის „პაჟარნიკების“ შტატი გადიდებულია ათი ცაცით. მთავარ ბუჰგალტერის გამოანგარიშებით შტატის გადიდების ხარჯები საკმარისი იქნებოდა ერთი ახალი სურათის დასადგმელად.

—:—

— გოსკინპრომში შესდგა დიდი თათბირი.

დაესწრენ საუკეთესო კინო-რძალები *). თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეული იქნა ჟორჟიკა მდივანი ერთმა საკითხმა დიდი უთანხმოება გამოიწვია. ეს იყო საკითხი კულიშოვის ჟურფიქსების დამსწრეთა სიის შედგენა. ზოგიერთები დაჟინებით მოითხოვდენ ამ სიაში შეტანილი ყოფილიყვენ ერთი **ჩაის ექსპერტი, ერთი ყავის და ერთიც კონდიტერი.** ყველა დამსწრეთა სიტყვებს სწერდა ოთხი სტენოგრაფისტკა.

კრებას კინო-ალლუმის ხასიათი ჰქონდა.

— ნატა ვაჩნაძის ქალს გადაუწყვეტია თითონ დასწეროს ისეთი სცენარი, სადაც მას არც მოკლავენ და არც გააპატიურებენ.

— გოსკინპრომის გამგეობის მიერ მიღებულია შემდეგი ახალი სცენარები:

**ლეონიდოვისა**—„ფეოდალიზმის ნაშთები საქართველოში“.

**ტრეტიაკოვის**—„არ იბღავლო სვანეთო“

**შკლოვსკის**—„გოგილოს აბანოს მექისე და ჰუსეინას ქაბაბი“ (საქართველოს ყოფა-ცხოვრებიდან).

**გ. გოგიტიძის**—„მეფუტკრეობა ჩვენში“ *)

**ს. ამალლობელის**—„ცოცხი და გოსკინპრომი“.

**პ. საყვარელიძის**—„კინო-სპეცების მუცლის ტკივილი“.

**საქულასი**—„სიდედრი გამირყვნეს კინოში“.

—:—

— გერმან გოგიტიძეს გადაუწყვეტია, იმ შემთხვევაში თუ მას არ დაუკლებენ ჯამაგირს, დაარსოს ლენინგრადის კინო-ტეხნიკუმში საკუთარ ხარჯზე პავლე საყვარელიძის სახელობის სტიპენდია.

**ახალი ვინმე.**

---

*) კორექტორის შეცდომაა, უნდა იყოს კინო-ძალები.

*) ოღონდაც, გოგიტიძეს თაფლი უყვარს!

**რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულშემატკივარი




**მათხოვარი:** — ხალხნო, მაჩუქეთ ერთი კაპიკი...
**მოქალაქე:** — არა, ძმაო,—შენ კაპიკი ვერას გიშველის!
**მათხოვარი:** — მაშ შაური მაჩუქეთ!
**მოქალაქე:**—აშენდა ჩემი ოჯახი თუ შაურები ვურიგე მათხოვრებს.

# „ამოკი“

**ცოლი:** (ლაპარაკი იწყება პირველი ნაწილის შემდეგ) რა არის ამოკი?

**ქმარი:** ამოკი არის საშინელი ავადმყოფობა.

**ცოლი:** ვის დაემართა?

**ქმარი:** ჯერ კ. მარჯანიშვილს, მერე ს. ამაღლობელს, ზაბოზლაევს, სიდამონ-ერისთავს და ასე გავრცელდა ცეცილია წუწუნავაზე.

**ცოლი:** კარგი, მაგრამ რატომ ყველანი, არ გვიჩვენეს?

**ქმარი:** ისინი, ალბად, საავადმყოფოში ჰყავთ დამწყვდეული. ცეცილია წუწუნავა გამოქცევიათ საავადმყოფოდან. ხომ დაინახე, როგორ გამორბოდა?

**ცოლი:** ვის ემართება ამოკი?

**ქმარი:** (ეტყობა ცოლის დაშინება უნდა) ვინც ეჭვიანობს.

(ეს ისე მაგრად უთხრა ქმარმა, რომ ცოლს გული კინაღამ ჩაუხეთქა ცოლმა ერთი ამოიოხრა და დაჩუმდა. დიდ ხანს არაფერი უთქვამს. მესამე თუ მეოთხე ნაწილის ანტრაქტზე ცოლმა კვლავ დაარღვია სიჩუმე)

**ცოლი:** ეხლა ვის სჭირს ამოკი?

**ქმარი:** ყველას.

**ცოლი:** ნატასაც?

**ქმარი:** ჰო! ნატასაც.

**ცოლი:** (გულმოსულია) შენ არაფერი გაგიგია. ამოკით გადარეულია იმედაშვილი, რადგანაც სხვის ცოლს.

**ქმარი:** გაჩერდი, დედაკაცო, მე მესამეჯერ ვუყურებ ამოკს. და ახლა შენ მასწავლი, ვის რა სჭირს?

**ცოლი:** (ერთი ისე ამოიოხრა, რომ სკამებმა ჭრიჭინი დაიწყეს. ეკრანზე აჩვენეს ის ადგილი, სადაც იმედაშვილს ზანგი თავდაყირა გადმოაგდებს კიბეებიდან) ეჰე! მასე გეკადრება... სად მიძვრები? პატიოსანი ქალი გინდა გაათახსირო?

**ქმარი:** ისე ღმერთი შენ გიშველის, მაგი რომ პატიოსანია. ვერ ხედავ, მუცლის მოშლას ვერ უთავდება?

**ცოლი:** იქნება არ უნდა შვილი გაჩინოს?

**ქმარი:** მე შენ გეტყვი და ვერ გაზრდის შენსავით გაჭირვებულია.

**ცოლი:** გოგი, აბა მითხარი რაშია საქმე. მე ეკრანზე ვერაფერს ვერ ვკითხოულობ! გამაგებიე, ამიხსენი.

**ქმარი:** საქმე იმაშია, რომ პატიოსან ქმარს ღალატობს. ყოველ დღე ორსულათ არის და ყოველ დღე მუცელს იშლის. ახლა ქმარს ელოდება და „პატიოსნათ“ უნდა დახვდეს. თუ მოუსწრო, ორსულად მყოფს, თუ მთლად ჩერჩეტი არ არის, მიხვდება, რომ სხვისი „ნამუშევარია“, და შავს დღეს დააყენებს.

**ცოლი:** გოგი, რომელია ნატას ქმარი?

**ქმარი:** ჯერ გამოურკვეველია (კითხულობს ეკრანზე)... „საიდუმლოება უნდა შევინახოთ“..

**ცოლი::** საყვარელი რომელია?

**ქმარი:** საყვარელი? მაგის რა მოგახსენო, როგორც ხედავ, ყველას უყვარს და რა ვიცი!..

**ცოლი:** შვილი ვისგან გაუჩნდა?

**ქმარი:** შვილი?.. ჰო! შვილი? (დაბეჯითებით უყურებს ეკრანს) ეს აღარ ვიცი (კითხულობს ეკრანზე: „საიდუმლოთ უნდა შევინახოთ“).

**ცოლი:** ყველაფერი საიდუმლოთ?

**ქმარი:** ასეა მაშ! აბა შენ რომ არაფერი დაგიმაგრდება ენაზე, ასე კი არ არის აქ.

**ცოლი:** მოკვდა? —

**ქმარი:** მოკვდა მაშ! ასე ემართება ქმარის მოღალატეს.

**ცოლი::** არც სხვისი ცოლის მოტრფიალეებს ადგიათ კარგი დღე. ვერ ხედავ ყველა გადარია მისმა ცოდვამ? (ცოლ-ქმარ შორის ლაპარაკი გამწვავდა. ერთი დაჩუმება, დაჩუმდენ. და როდესაც კუბო ზღვაში გადააგდო იმედაშვილმა, ცოლი მის ქმარს უყურებდა ამოკით შეპყრობილივით. ელექტრონი აინთო. ქალი მომიბრუნდა, მე მეკითხება):

**ცოლი:** როგორ გათავდა?

**მე:** რომ არ დამერღვია ცოლქმარის საუბრის სტილი, ვუპასუხე): —„საიდუმლოებაა; უნდა შევინახოთ“...

**ხეგეირ-ბენ-შეიხ.**

# ჩვენი დროის სიმღერა

ვარ მთავრობის მსახურია.
მიყვარს ღვინო კახურია.
ხელში პორტფელი მიჭირავს
ქუდი გვერდზე მახურია!

ვარ მუშკოპის ბაზაზია;
მიყვარს ქალი ლამაზია,—
სულ მთლიანად გამოვსცალე
მუშკოოპის მაღაზია!..

ყველა მიცნობს სადაც შევალ;
ავტო-მაშინებით დავალ,—
რევიზია რომ გაჩნდება—
ვიცი, გამსახლშიაც წავალ!..

სანამ დრო მაქვს ვიპარპაშო
ხან ქენია, ხან კი მაშო.
სანამ ჯერ არ გაუგიათ,
შენ დაუკარ სათამაშო.

სანამ არ იციან ჯერე,
სულ მოიტა, დამიჯერე,—
ციხეში რომ მივბრძანდები
ეთიმ, ლექსი დამიწერე.

**ეთიმ გურჯი.**




პირველი, (რომელმაც ეს-ეს არის ნახა „ამოკი“). —„ქარიშხლის წინ“ ვერ ვნახე იმისთვის, რომ ვერ მოვასწარი,.. „სამანიშვილის დედინაცვალი“ არ მინახავს იმიტომ, რომ არ უჩვენებიათ... და ამის შემდეგ რა ღმერთი გამიწყრა, რომ „ამოკი“-ს სანახავად წამოვედი...

მეორე:—შე კაი კაცო, მარჯანიშვილი სამჯერ შეცდა... შენ კი ერთხელ რომ შეცდე რა დიდი ამბავი იქნება!

# მზის ვანეზის ზრალია

— ასტყიკჯან, რამეს გებნები, ესტელ არი. მოდი, ქა, ისეთი ცხელ-ცხელი სმეშნოვი ხაბარი გითხრა, სულ მუცელი ხელში დაგაჭერინო.

— უი, ქა, სირანჯან, რა გაგხარებია ამ ჰუზმოზე აღარ იტყვი? რა ხაბარია? თქვი ქაჯან, თორემ გულმა ლამის გამისქდეს!..

— ი, ქა, ფჩანეს შენი გული,—გაგისქდეს რომელია?, —ზაბავნი რამეს გებნები, გული კი არ უნდა გაგისქდეს, უნდა იცინო, მაა?!—ბანემ ასუმ, ახარ მართლა არ გაგიგია, ჩვენი ტერტერას ცოლისთვის, რომ ღორს მოუჭამია? —წელს ქვემოთ რბილი ზურგი რაღა...

— უი ჩემს თვალებს, როგორ თუ მოუჭამიაო,—რას მებნები ადამიანო?

— ჰო, ჰო, ჩემი გეურქას შარჩენამა, ღორს თურმე წელის ქვემოთ, რბილი ზურგი პაჩტი მთლად კინაღამ გამოუგლეჯია—საწყალს იარა თურმე ჩასდგომია და ახლა ამბლატორიაში ნასილკებით დაჰყავთ, პირქვე დაწოლილი!..

— უი ქა, და საღორეთ როგორ გაიხადა, მაგ ოხრად დასარჩენმა, მაგანა?

— როგორ და სუყველთვისინ რო ოინბაზი და მაკვირალა იყო—ეგ იმან უყო, მაა?! არა, ქვეყანაზე რა დამალულა, რომ ეგ დაიმალოს? გახსომს? მაისში აგვიკლო:

ჩემი ქმარი ქობლეთში მგზავნის, დოხტურებმა ურჩიესო. ერთი ისე ტრაბახობდა, ისე ყვინიზობდა, გეგონება ამ ქობლეთის ჰაგარაკზე, მთელი მილეთის ყარტა-ყურტა არ მიდიოდეს! ახარ ჰუზურში რა გახდომიათ ეს მარილიანი წყალი? ყველა თავმოგლეჯილი, ჰაი-ჰარათ იქ გარბის: ეს ჩვენი არტუას ცოლიო, ვართაპეტას სიდედრიო, ეს პეტროზაანთ ჭიპ გამოვარდნილი თათუშაო, ვინ მოსთვლის!..

ვა, ვა, ვა, დიდი რამე ჰგონიათ, გეგონება ზაღრანიცას მიდიანო.

ახლა ყური დამიგდე და, რა ოლოსპოლრობა ქნა ჩვენმა ტერტერას ცოლმა: გესმის? აქედან დიდი ხაბარით და დიდი ფრაშტი-ფრუშტით ორი ფაიტონით წავიდნენ. ახარ, სანამ წავიდოდნენ, მანამდისინ წარა-მარა ბალკომში გამორბოდენ და ხან დედა, ხან ქალი, მითომ ჰაა, მეზობლებს გაგვეგო, რაღა, მატაოცებივით ყვიროდნენ:

— ქა, ჩემი ტრუსკა არ დაგავიწყდესო, ჰამაც ჩემი მარსკოი შლაპკა თავის რიგზე ჩამიდეო...

თურმე რის ქობლეთი, რის ბოზბაში?—იმ ტერტერას ეს თავის ცოლ-შვილი გახრიოკებულ გლდანზე არ წაუყვანია?!. რას იცინი? ნეპრემენ სიმართლეს გებნები, ჩემი გეურქას სიყმის მზემ მაა ქა! უყიდნია ქალო, ორი გირვანქა შაქარი, ასმუშკა ჩაი, ერთი გირვანქა შავი საპონი, ორი მეტროც ბაზლაწო ჩითი და ეს თავის ოჯახობა ვიღაც ქართველ ნათლიდედასთან ამ პადარკებით მიუყვანია—და მთელი ზაფხული იქ თურმე ყრილან.

აქ კი, ჩვენი სანთლიკუდოვი, შურით შუა ჭიპზე სკდებოდა ასმა, ტერტერა ამ ბალშევიკების დროსაც რაღაცას ახერხებსო.

ახლა,, ქალო, რაკი ხმა დაყარა ქობულეთში ვარო, ჰამაც უნდა გაშავებულიყო რაღა. ადგება, თურმე, ეს ასტანჯილა დედაკაცი და ცისმარე დღე თავისი გოგობიჭებიანათ შადიან თავისი ნათლიდედის ისემეში—ვენახში რაღა, მექისეებივით გაშიშვლდებიან, ჰამაც ზედ ზეთს ისხამენ.

ამისგნით კინაღამ უფროს ქალსა გულყრა დამართნია, ჰამა, გესმის? აღარ ეშვებოდა ის ოლოსაპოლრო, დედაკაცი, მაშ მეზობლები როგორ დავაჯეროთ, რომ ქობლეთში ვიყავითო? მართლაც, რო ნახო, დედაშვილიანათ სულ მეცხავე ყაიმაზასა ჰგვანან. ნახშირის ყაურმასავით დაშავებულან, მაა?!.

მაგრამ გაშავება კი ძვირად დაჯდომიათ ჰაა! ყური დამიგდე და რა მოსვლიათ.

ერთხელ თურმე ეს ტიტველა ბავშვები მეორე ვენახში ხილის მოსაპარავათ გადასულან. დედასა და დიდ გოგოს მზის გულზე ტკბილად მისძინებოდათ. ამ დროს, საიდგანაც ერთი კაი კახური ღორი მიჰპარებია და ხა, ხა, ხა... თურმე ამ ბემურაზ ღორსა ი სქელი ტიტველა დედაკაცი პირქვე მწოლარე რომ დაუნახია, კაპუსტას თავი ჰგონებია რაღა, ჯერ დინგი წაუკრავს, მერე კბილებით ჩასჭიდებია. რომ არ ჩაუკბეჩია? თურმე აღარ უშვებს.

ატეხილა ერთი ტრევოგი ზაზანი, ყალმაყალი, ეს ტერტერას ცოლი დედიშობილა გარბის სოფლის შარაზე და ყვირის:

— ნათლიჯან, მიშველეთ, თქვენმა ოსმენმა უკანა ხარე სულ მამაგლიჯაო. აქ შაყრილა მთელი სოფლის ხალხი და ერთი დალდალაში დაუციათ. თურმე ჯეჭელა ბიჭები მასხარად აკეთებენ და ებნებიან:

— ტოტაჯან, ნუ გეშინიან, მაგ მოგლეჯილ ადგილზე აბლაბუდას მოგაფარეფ და ცამენტალნათ გაგივლისო. ჩვენ ჯორსაც მგელმა მაგისთანა ადგილას მააგლიჯა და აბლაბუდით მოვარჩინეთო მაა.

ახში, ცოტათ მოუშუშნია გლდანში და მერე ტერტერას ტელეგრამა დაურტყა:—ზღვაში სელიოტკამ დამგლიჯა და აპასნი ჭრილობა მამცაო. ჩქარა ჩამიყვანე თორემ ზარაჟენია მამივა და მოგიკვდებიო.

ჩამაიყვანეს. ეხლა ამბლატორიაში ნასილკით დააქვთ. ჰამაც ტერტერა ყოველდღე ეჩხუბება

— ახარ შე ბემურაზო, რატო ნაბლუდენიას არ უშვრებოდი, რაზე დამიკარგე მაგოტოლა ისემეო, ზდაროვიაზე ებნება რაღა, გული სტკივა, ქმარია, მაა?!

ახია მაგაზე, მითომ მოდნას აჰყვა, მარაქში ჩავარდა, ხალხში ფეხი გაიშვირა—ასმა მეც ნახირ-ნახიროო. ამ ნახირში გარევამ კი ასეთი ნავნები მისცა. არ ერჩივნა, ჰაზირ თავის ქერქში დატეულიყო? ხომ ყველაფერი დღესაც მთელი ექნებოდა? ეხლა იმან იქ ტირის, ჩვენ კა აქ დრუჟნათ ვიცინით. რა მაზალო რამეა!..

ბუზანკალი.

# „ერთი მთოხნელი ასი მცოხნელი“




რაციონალიზაცია ზოგიერთ დაწესებულებებში

## „მოადგილე“

(რუსულიდან გადმოკეთებული)

გაბო მთქნარებაძე დარაჯად მსახურობს ტრესტის კანტორაში.

თითქმის ყველა თანამშრომელისათვის დარქმეული აქვს შესაფერისი ზედმეტი სახელი, რომელსაც იგი იშვიათად თუ ვინმესთან იტყვის.

ამ ზაფხულზე, როცა გაბო შვებულებაში მიდიოდა, მის მაგიერ ბირჟიდან მოიყვანეს ახალგაზრდა უმუშევარი.

— აბა, გაბო, გააცანი შენს მოადგილეს თავისი მოვალეობა; კარგად აუხსენი, თორემ ახალი კაცია და გაუჭირდება!—უთხრა გამგემ გაბოს, რომელიც მაშინვე შეუდგა გამგის განკარგულების შესრულებას..

— აი, აქ არის შენი ალაგი!—უჩვენა მთქნარებაძემ თავის მოადგილეს დერეფანში ბნელი კუთხე, სადაც ხის სკამი იდგა.—ეს სკამი „ინვალიდია“, რადგან ოთხი ფეხის მაგიერ, სამი შერჩა, მეოთხე ფეხი დაჰკარგა უთანასწორო ჩხუბში, როცა გაბრაზებულმა გამგემ ეს სკამი შიკრიკს მოუქნია; შიკრიკმა აიცდინა, სკამი იატაკზე დაეცა და ერთი ფეხი მოიტეხა! ჰო-და, ამ სკამზე შენ შეგიძლია ჩამოჯდე, მხოლოდ ისე კი, რომ არავინ დაგინახოს. როგორც კი ფეხის-ხმა მოგესმას, მაშინვე წამოხტი. ერთი სიტყვით, სკამზე ჯდომა ლეგალურად აკრძალულია. ერიდე გამგემ თვალი არ მოგკრას!...

— არ ჩამოვჯდები; სულ ფეხზე ვიდგები; ნუ გეშინია, კი ვარ შეჩვეული დგომას ბირჟაში! — დააიმედა გაბო თავის მოადგილემ.

— უკეთესი იქნება, მაგრამ ვერ გაუძლებ, მთელი სხეულიდან ფეხებში ჩაგიდგება სისხლი... ჰო, მართლა რაც მთავარია: პური ჯიბეში ლუკმებად დაჭრილი და ჩაწყობილი უნდა გქონდეს. მოხერხებულ დროს შეგიძლია ჯიბიდან ამოიღო უცბად და ყლაპი უქნა ერთ ლუკმას...

— ორი ერთად არ შეიძლება!—შეეკითხა მოადგილე.

— სახიფათოა! თუ თვალი შეგასწრეს, ორი ლუკმის ერთად გადაყლაპვა გაგიჭირდება, სიფრთხილე თავი არ სტკივა, ერთი სჯობია!

— ძალიან კარგი!—დაეთანხმა მოადგილე...

— სამოვარი კარგად უნდა ადუღდეს, თორემ იცი ერთხელ რა დამემართა?—აუდუღარი წყალიდან დაავალევინე ჩაი მთელ კანტორას. ამის გამო მთელი დღის განმავლობაში ფეხისადგილის რიგში იდგა ყველა თანამშრომლები. სამსახურის შემდეგ სალამომდი იცადეს,—ეშინოდათ სახლში წასვლა, რომ ქუჩაში სასირცხვილო არაფერი მოსვლოდათ...

— რა თქმა უნდა, აუდუღარი წყალი მუცელში გასჭრიდა ყველას!—გამოსთქვა თავისი შეხედულება მოადგილემ.

— ეს არ ხუმრობს! დახეთ, ესეც კი სცოდნია! ყოჩაღ! დარაჯობა კი არა, მეტიც ეკუთვნის! გაიფიქრა მთქნარებაძემ და განაგრძო:

— ჩაის ჭიქები და ლამბაქები წყლით უნდა დაასუფთაო და არა ნერწყვით..

— რასაკვირველია!, აბა აქ წითელი სასადილო ხომ არ არის, რომ ნერწყვით დავასუფთაო!—გაიკვირვა მოადგილემ.

— აი, ეგრე რომ ქალა ზის „ყელწითელა“, ხომ ხედავ წითელი ბანტი აქვს,—ყველას უმალ იმას მიუტანე ჩაი სამი ნატეხი შაქრით, ის გამგის დაი არის....

— ჰაა!—სთქვა მოადგილემ და უბის წიგნაკში ჩაიწერა: **„ყელწითელა“**—„გამგის დაი“.

— აი, იქ რომ ქალი ზის და იპუდრება — „იკრასკება“, იმასაც ადრე უნდა მიართვა ჩაი სამი ნატეხი შაქრით, ხომ ხედავ როგორი სუქანია, ნამდვილი თავბოლო-სწორი „დერგია“. იგი გამგის საყვარელია და, ხომ იცი!..

— ჰოო, რაკი მაგრეა, რა თქმა უნდა, პატივსაცემია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „აბესალომ და ეთერი“




— მომიტანდე, შემასმევდე,—
ეგებ ცოტა მოვჯობინ- დე!

— მომიტანდე, შემასმევდე,—ეგება ცოტა მოვჯობინდე!
მილიციელი:—წამო, წამო კომისარიატში და იქ მოჯობინდდები!

—და წიგნაკში აღნიშნა: „თავბოლოსწორი დერგი“ — „გამგის საყვარელი“.

— არ დაგავიწყდეს ადგილკომის მდივანი.. იშვიათად მოდის, მაგრამ როცა მოვა, მაშინვე მიართვი ჩაი, მასაც სამი ნატეხი შაქარი, თორემ იგი ისეთი „უჟმურია“, რომ...

— კარგი, კარგი!—წიგნაკში ჩაიწერა:

**„ადგილკომის მდივანი“—„უჟმური“.**

— ეხლა, შეხედე იმ კაცს სათვალეები რომ აქვს ცხვირზე და სათვალეებს ზემოდან იცქირება. თავი რომ აუღერია; იგი მდივანია. იმას მიუტან სხვების შემდეგ; ეყოფა ორი ნატეხი შაქარი; „ჩერჩეტაა“; მაინც ვერაფერს შეატყობს!.

— ძალიან კარგი!—და წიგნაკში ჩაიწერა: **„ჩერჩეტა—მდივანი“.**

— იქ სალაროა. შიგ რომ კაცი ზის, ის მოლარეა; მთელი დღე იქ ზის,—ნამდვილი „კრუხია“... იმას შეგიძლია ჩაი არ მიუტანო; სულ ერთია, მაინც არ სცალია და არ დალევს. თუ დრო გქონდეს და ჩაი მოგრჩეს, მხოლოდ მაშინ მიუტანე!

—ძალიან კარგი!— და მოადგილემ წიგნაკში აღნიშნა: „მოლარე—კრუხი“. **„ზედმეტი ჩაი.“**

მეორე დღეს მოადგილემ ჩინებულად ჩააბარა გამოცდა მთქნარებაძეს, რომელმაც სამსახურის შემდეგ, აიღო შევებულების ფული და სახლში დაიმედებული წავიდა.

მესამე დღეს მთქნარებაძის მოადგილემ ლამაზად მოართვა ჩაი გამგეს და მის თანაშემწეს.

—ეგ დარაჯი სჯობია, მგონი, ჩვენს დარაჯს!— გამოსთქვა თავისი შეხედულება გამგის თანაშემწემ.

—მეც ასე მგონია და, თუკი გაამართლა ჩვენი შეხედულება, მაგას დავტოვებ და მთქნარებაძეს დავითხოვ!—სთქვა გამგემ და ჩაი მოსვა.

ამ დროს მთქნარებაძის მოადგილემ თაბახით რამდენიმე ჭიქა ჩაი შეიტანა კანცელარიაში.

ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ „ყელწითელა“-ს ალაგას სხვა ქალი არ დახვდენოდა. (თუმცაღა იგივე ქალი იყო, მაგრამ იმ დღეს სხვა ტანსაცმელი ჩაეცვა და ახალმა დარაჯმა ვეღარ იცნო იგი).

დაიბნა დარაჯი. ყველაფერი აერია.

— ვაი თუ შემცდეს და ერთმანეთში ავურიო?!. რა ვქნა?—სწუხდა იგი;

—ყველას გამოვიძახებ რიგის მიხედვით, როგორც ჩაწერილი მაქვს!—გაიფიქრა მან და ფერი მოუვიდა.

თაბახი იქვე დასდო მაგიდაზე. უბიდან წიგნაკი ამოიღო და დაიძახა ხმამაღლა:

—მოქალაქენო, ყური დამიგდეთ. გამოგიძახებთ სათითაოდ და მიიღეთ ჩაი.

პირველი: გამგის დაი, ანუ **„ყელწითელა“...**

—არ არის? კარგი... შემდეგი: **გამგის საყვარელი,** ანუ **„თავბოლო სწორი დერგი“...**

—? ! ?.. ფხ! ფხ!..

—არც ის არის? აბა შემდეგი: **ადგილკომის მდივანი, ანუ „უჟმური“..**

—არც ის არის? ძალიან კარგი. აბა შემდეგი: **მდივანი, ე. ი. „ჩერჩეტა“.**

**—მოლარე, ე. ი. „კრუხი“.** ჩაი ზედმეტია, მაინც არავის უნდა.

— ხა-ხა-ხა-ხა-!—ისტერიული ხარხარი აუტყდა ყველას. ზოგი ვერ უძლებდა სიცილს და გარედ გარბოდა; ზოგს მოსავებოდა და იქვე ჩაკეცილიყო.

მაშინვე კაცი აფრინეს მთქნარებაძესთან.

მას კომპენსაცია მისცეს და შვებულებაში აღარ გაუშვეს.

**ენუქი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დაჩაგრული“

შენ გასაჯე ტარტაროზო!

უნივერსიტეტში მაინც არ მიმიღეს, მიუხედავად იმისა, რომ გამოცდები აი ასე ჩავაბარე:

## ქართული წერა

თემა: **„ფიზკულტურის მნიშვნელობა“**. ყოველ ადამიანს, პირველ შეხედვით, მოეჩვენება, რომ დღეს ესა თუ ის ადამიანი ფასდება არა მისი ფიზიკური ძალით, არამედ მას თავში ჩალა აქვს თუ ტვინი.

ჩემი აზრით ეს ყალბი შეხედულებაა. უფრო სწორი ქნება რომ ვსთქვა. იქ სადაც გონება არ გასჭრის. ძალა უნდა აამოქმედო. მაგალითად, დღეს „ოჩერედი“-ს გარეშე ვერაფერს ვერ იყიდი, გარდა კუბოსი. აქ გონებით ვერაფერს გახდები, საჭიროა ძალა. თუ ასეთი გაგაჩნია მკლავებში, ჩადგები რიგს გარეშე და კარგი ბიჭია—ვინმემ ხმა ამოიღოს. ამაში მე უფრო დავრწმუნდი, ჩემს ცხოვრებაში მომხდარ შემთხვევით: გიყვარსთ, ჩვენ რომ ქუჩებში ვიღრიალეთ და მოქალაქეებს გვერდები აუზილეთ. ხელსაც ვერავინ გახლებსთ. ასეთია ფიზიკური ძალის მნიშვნელობა.

## რუსული ენა

Господин професор! Если меня волю даете, я Вас раскажу, какой у меня вчера случайно один случай случился. Стою это я, как дубина, и жду трамвай. Трамвай приехал, я сиел. На вагоне один человек акаɛался лишний

Я говорю его:

— Вас товорят, товаришч! Не видишь вагон битками набит, слези пожалуйста!

Молодой человек не хотел пригить. Тогда я закричал на него, как осел:—„Череɛ вас вагон стоит, слезай сей минута без драться“.

Молодой человек не слез пока один большой პანღური не получил. Публика ха-ха-ха-ка и мне благодарит.

პროფესორმაც ჩაიცინა.

— აბა მითხარით, პანღური როგორ იქნება რუსულად? — შემეკითხა იგი.

— პანღური?.. მგონია ეს სიტყვა რუსულად არ არის, ვინაიდან პანღური მხოლოდ ქართველებმა იციან.

— როგორ იტყვით რუსულად: მგელი შემხვთა და შემეშინა?

— დედალი თუ მამალი მგელი, ბატონო პროფესორო!

— თუნდაც მამალი მგელი იყოს.

— პეტუხ ვოლკ მენია ვსტრეტილ ი ისპუგალსია.

— საკმარისია, მიბრძანდით!

## ისტორია

**კითხვა:** „გვიამბეთ 1905—6 წლებში რუსეთში მომხდარ მოვლენების შესახებ?

**პასუხი:** თუმცა მე მაშინ დაბადებულიც არ ვიყავი, მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს, რომ რაღაც არეულობა მოხდა. რამდენადაც შემდეგში გავიგე, თურმე რუსეთის მეფეს, ნიკოლოზ მე-2-ის მამას, ნიკოლოზ მესამეს აუჯანყდა ხალხი იმისთვის, რომ მას არ სურდა ომი იაპონიასთან. ბოლოს, როგორც იქნა მან გაუწია ანგარიში ხალხის მოთხოვნილებას და შეუდგა ომის სამზადისს.

იაპონიის მეფე შეიჭრა რუსეთის მიწა-წყალში და რაკი მოწინააღმდეგე ვერავინ ნახა, შეუთვალა რუსეთის ხელმწიფეს:

— გამოგზავნე ჩემს წინააღმდეგ შენი ჯარი, თორემ შენი მიწა-წყალს დავიპყრობო.

რუსეთის მეფემ შეუთვალა:

— კაცო, რა გაქვს საომარი, მიწა ბევრია, რამდენიც გინდა იმდენი წაიღე!

ამრიგად ჩამოვარდა ზავი.

— რომელ სახელმძღვანელოდან ამოწურეთ ეს ამბავი თქვენ?

— მე არავითარი სახელმძღვანელო არ მქონია. ყველა ჩემ მიერ თქმული, გაგონილი მაქვს ბაბუაჩემისაგან, რომელიც 120 წლის არის და 5—6 მეფე გამოუცვლია.

## საბჭოთა აღმშენებლობა

**კითხვა:** რა არის მონარქია, რესპუბლიკა და კერძოთ საბჭოთა რესპუბლიკა და მათ შორის განსხვავება?

**პასუხი:** რესპუბლიკა ეწოდება ისეთ ხალხს, რომელიც თავის თავს განაგებს, წინააღმდეგ მონარქიისა, სადაც ხალხს არა სურს თავის პატრონობა და ასეთი ჩაბარებული აქვს მეფესთვის.

უპირატესობა უნდა მიეცეს რესპუბლიკას, ვინაიდან მონარქიის დროს ხალხი ზარმაცობს, მას თავის მოვლა-პატრონობა არ აწუხებს, მაშინ როდესაც რესპუბლიკის დროს ხალხს სიზარმაცესათვის ვინ მიუშვებს.

დამატებით ამისა საბჭოთა რესპუბლიკაში, საბჭოში მჯდომი პირები ადგენენ და ადგენენ ელექტროფიკაციის გეგმებს და ხალხმა ის უნდა შეასრულოს. ასე რომ საქმე ბევრია გასაკეთებელი.

## ეკონომიური პოლიტიკა

**კითხვა:** რა არის ეკონომია, პროტექციონისტური სისტემა და ვინ იყვნენ პირველი პროტექციონისტები?

**პასუხი:** სიტყვა ეკონომია ბავშმაც კი იცის რა არის. აი მაგ. თქვენ დაგჭირდათ კოსტიუმი. ბაზარზე მატერია ძვირად ფასობს; თქვენ მიდიხართ ჩუმად კონდრაბანდისტებთან და ნაკლებ ფასით უკეთესს მასალას შოულობთ.

რა არის პროტექცია? ესეც ყველამ იცის. განმარტება ზედმეტია. უპროტექციოდ ხაბიჯსაც ვერ გადადგამ.

ვინ იყვნენ პირველი პროტექციონისტები? პასუხის გაცემა ძალიან ძნელია. პროტექცია მენშევიკების დროს დაიწყო და დღესაც არაა ნაკლები. მან მიიღო სისტემატიური ხასიათი, ამიტომ უწოდებენ მას პროტექციონისტურ სისტემას.

## მათემატიკა

**კითხვა:** რას მეტყვით პითაგორეს თეორემაზე?

**პასუხი:** პითაგორე ბატონო იყო ბერძენი. მან დახაზა სამკუთხედი, ააგო მის გვერდზე კვადრატები და მიიღო რაღაც შარვლის მაგვარი ფიგურა, რომელზედაც რუსები ამბობენ: „პიფაგოროვა შტანი ვო ვსე სტორონი რავნი“. ჩემი აზრით იმ დროს ბერძნები ატარებდენ პითაგორეს მიერ გამოგონებულ შარვალს, რომლის ყოველი ნაწილი თანასწორი იყო.



**სტუდენტი:—გავიგე, თითქოს ფარმაცევტიული კურსები იხსნება; იმახაც დავათავებ და ეგებ ერთი შარვალი იქიდანაც შევიკერო; სხვაში მაინც არაფერში მარგია ეს ატესტატები!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეშინებული



— გადარეული ხომ არა ხარ, რომ თოკებით დაკრულხარ მატარებელში?

— ეჰ! ვიცი ჩემი მუცელის ამბავი— არ მომახვენებს და ადგილს დამაკარგვინებს,—მე კი ფეხზე დგომა ჟრ შემიძლია.

# პროტექცია

თქვენ გყავთ ნათესავი
უვიცი და მრუდი;
არ აცვია ტანზე,
არ ახურავს ქუდი.
თქვენ გაწუხებს მუდამ,
როგორც ავი სული
რომ არ დაეხმაროთ
არ გიშვებათ გული.
მოგაბეზრათ თავი,
გზავნით მეგობართან
და სწერთ:—სამსახური
მიეც, ჩემო ვართან!
შენაც გეყოლება
ვინმე ამაგვარი...
მერმე მე მოგიწყობ
შენი მეგობარი.
ხელმა ხელი ბანოს,
ორივემ კი პირი
და მით მოიშორონ
თავზე თითო ჭირი.
და მით დაამყარონ
კაცმა კუჭთან ზავი,—
რა არის აქ ცუდი,
რა არის აქ ავი?

იქს.

„ტარტაროზი“
№ 123
სპეციალური ნომერია
„მეცნიერება და
ტეხნიკა“-ზე

# „კ უ პ ე“

4 წელიწადია ნათესავები არ მენახა და ვიფიქრე:

— ეგებ გაისად ველარ მივაღწიო და ვნახავ!

ავიღე ქალაქის სადგურზე ორი ბილეთი, ერთი ჩემთვის და ერთიც ჩემი ცოლისათვის დანომრილ საწოლ ვაგონში. მივედით თავის დროზე სადგურში; შევედით ჩვენი ნომრის ვაგონში, დავიკავეთ ჩვენი დანომრილი ადგილი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა,რომ ისეთ კუპეში მოვხვდი, სადაც მხოლოდ ორი ალაგი იყო.

ვნახოთ გაიღო კარი და ბარგიბარხანით შემოვიდა ერთი ვიღაც ახმახი. დახედა ნომერს და დააწყო თავისი ბარგი.

—უკაცრავათ მოქალაქევ,— ვეუბნები, აქ თქვენი ადგილი არ არის; ეს ორი ადგილი მე მაქვს ნაყიდი, ჰა, ბილეთის ნომრები!

— მე არ ვიცი თქვენი ნომერი და ჩემს ბილეთში კი სწორეთ ეს ადგილია აღნიშნული! —და მაჩვენა ბილეთი. მართლაც მის ბილეთშიაც აღნიშნული იყო № 7.

— ეგ რაღაც შეცდომაა!— ვეუბნები მე.

— რაღა ჩემთვისაა შეცდომა და თქვენთვის არაო?! აა, ბატონო, ქვედა საწოლი ჩემი ნომერია, მარა მე ზევით დავწობი და თქვენი მეუღლე ქვეშ ბრძანდებოდეს.

— რათა ბატონო; ის არა სჯობია ჩემს ცოლთან მე ვიყო და თქვენ სხვაგან გადაბარგდეთ!

— რავა გეკადრებათ! სხვა ადგილები „დაზანიატებულია“.— კატეგორიული უარი განაცხადა.

გავედი კონდუქტორის დასაძახებლად.

მოვიყვანე კონდუქტორი, გამოგვართვა ბილეთები. სანამ სათვალეები ამოიღო, სანამ ფარნის სინათლით ბილეთებს ჭვრეტა დაუწყო, მატარებელიც დაიძრა. დამიბრუნა ბილეთი და მითხრა:

— გამომყევით; მე თქვენ გიშოვით ბინას ჩემს „კუპეში“!.

— რათა ჩემო, ძმაო, რისთვის გინდა ამ სიბერის დღეს მე და ჩემი ცოლი გაგვყაროთ? ეს კაცი წაიყვანეთ თქვენს კუპეში და მე ჩემ ცოლთან დავრჩები!

კონდუქტორმა გაიცინა და მითხრა:

— მე კი არა „კასირშას“ მოუნდომებია თქვენი გაყრა, რომ ერთნაირი ნომერი მოუციათ ორთავესათვის.

— კაი ბატონო, კაი,—დაიყვირა ახმახმა, გააჭირეთ საქმე; არევინ არ გართმევთ თქვენს ცოლს; მე ჩემი ცოლიც მეზარება და სხვისი რა ოხრობად მინდა?!—გაიტანა თავისი ბარგიბარხანა და კარებში გაილაპარაკა:

— შენ რომ კაი კაცი იყო, წვერულვაშიც არ გექნება მოპარსულიო..

დავხურე „კუპეს“ კარები.

არ გასულა 3 წუთი, რომ მეზობელ „კუპეში“ შეიქნა აურ-ზაური. თურმე, ნუ იტყვით, იმ დალოცვილ „კასირშასა“ სამი მგზავრისათვის მიუყიდნია ერთი და იგივე დასაწოლი ნომერი. ამიტომ მგზავრები ერთმანეთს თავპირს ამტვრევენ. სტაცეს კონდუქტორს ხელი და ყოველი მხრიდან უძახიან:

— ეგ როგორ შეიძლება? მოაგვარეთ ჩქარა საქმე!.

— ნე მოი დელა; ჩორტი ელო ზნაით. ეტა კასირშა ვსეგდა პრილოჟენიე დელაიტ სვოი ნომერ ნა ჩუჟოი შტემპელ. ა ია მინოვათ შტოლი?—ჩაურუსულა კონდუქტორმა.

— ჩვენზე უარეს დღეში სხვები ყოფილან!—ვუთხარი ცოლს, კუპე მაგრად ჩავკეტე და დასაძინებლად დავწევი, რომ ჩვენთვის მგზავრი არ შემოემატათ.

ვახ-ბა-ლანჩი.

# ტარტაროზი

## ჩოხატაური

ვის გავკარი კბილი ჩემი,
დღესაც ეწვის დანაკოდი,
გადავჭყარე ყველა ხრამში.
მე კი ამით ვამაყობდი,
მარა როცა გამირისხდი

და წამართვი, ძმაო, პიკი,
დახე! როგორ გათამამდენ
და აქავდათ კუდის რიკი?.

ან, თუნდაც ვაჟი იგი,
სოჯევახოს სადგურზე რომ
„ნაჩანიქობს“ (რა თქმა უნდა,
ეს წოდება მისცა მას დრომ...)
ძნელი არის ჰპოვო სადმე
მსგავსი მისი მუცელ-ხრამი,
არც კოწია მარშალს, მგონი,
არ უყვარდა ასე ქრთამი!!.
გარეგნულად ჯენტლემენობს,
რას შეატყობ, არის ფრანტი...
მარა, თურმე „თავის დროზე“
გოცირიძის იცის კვანტი!..

„ნაჩანიქთან“, როცა მივალთ
საქონლისთვის,—ამბობს „ეპო“,—
იმ ოჯახს ქორს, იმ საქონლის
ნახევარიც აღარ ეყო!..

თურმე გაშგე ველარ აძლებს
ვერც ვახშმით და ვერც ზაკუსკით...
(ასე არ ქნას, მაშ რას იზამს
თუ „სკლადის“. წინ ის სდგას მუშ-
ტით?)

და აშ რიგად წიაქვს უხვად:
პური, ჩაი, ქერი. თივა,
მარა დახე! ამ მუცელ ხრამს
თურმე მაინც გული სტკივა!..
სულ სხვა არის „ეპო“-საგან
რომ ეწევა ნისიობას;
თვითონ მოსვლას არ კადრულობს,
ტელეფონით აძლევს ცნობას!..

ეხლა ვკითხოთ მეურმეებს:
გიგო იყოს, თუნდა გიტოც,
გვეტყვიან რომ: „ნაჩანიქმა“.
დაგვილუპა საკრედიტოც!..
იპატიე ბანკის გამგე,
(თუმცა წყევლით, თუმცა კრულვით),
მარა მაინც ხან წითელს და,
ხან თეთრ ღვინოს გზავნის ურმით...

საცოდავი ფიადორე,
ამას წინად კილამ მოკვდა,
რომ „ნაჩანიქს“ ვერ უშოვა,
მოსაქრთამათ სანთლის „ოდკა“!.
ჰოდა, ჩემო ტარტაროზო,
თავმოხდილი, ხელში ქუდით
გევედრები—მექრთამეს და
ქრთამის მიმცემს—ვათრევ კუდით!..
თორემ ასე თუ გაგრძელდა...
მართალს ჩივა გიგო, გიტოც:
„ჩახვავდება ჩვენი „ეპო“...
ჩაფლავდება საკრედიტოც“!..
ამისათვის, უცილობლად
დროზე მომეც, ჩავჭკრა ამათ...
საჭიროა შენი „შუბი“
სხვა ფრონტებზეც შევქმნა ჩხუბი!!.

მოჩხუბარი.

## „რეჟიმეკონომია“

ტყიბული



**მამალაძე** (პარტკომის პასუხისმგებ. მდივანი თავის „კაბინეტში“): ამხანაგებო, ადგილი დაიკავეთ, დაჯექით.

**ერთი:** სკამი არ არის და რაზე დავჯდეთ!

**მამალაძე:**—ზოგმა მაგიდაზე ჩამოჯექით, ზოგმა თათრული წესით — იატაკზე, ზოგმა ერთმანეთის ზურგზე,—და ასე იოლად გავიდეთ. ნაგვის ყუთზედაც შეგიძლიათ ჩამოჯდეთ!

**ახალ-შემოსული:**—ვა! ეს რა ამბავია! მე სადღა დავჯდე?

**მამალაძე:**—არა უშავს რა; ან ფეხზე დადექი, გაიზრდები,— ან და აგერ ჩამოჯექი კოსტას ზურგზე, სქელია და კი აგიტანს.

**ახალ-შემოსული:**—კაცო, სკამები აღარ არის?

**მამალაძე:**—სასადილო ხომ არ გგონია აქ? რეჟიმ-ეკონომიაა, ძმაო.

**მე:**—მაღაროებშიაც რომ გაატარებდეთ ასეთ ეკონომიას, მაშინ საქმე კარგად წავა.

„არ-მოდგა“.

**გამოსაგზავნ სურათებზე საჭირო წარწერებთან ერთად უნდა აღნიშნოთ გარკვევით თქვენი ვინაობა, მისამართი და სად და რომელ კედლის გაზეთში თანამშრომლობთ.**

## ტყიბული

გამარჯობა „ტარტაროზო“
ჩამომართვი, ძმაო ხელი.
ვერ მიცანი? აგერ გეტყვი—
მესტვირული ვარ მე ძველი
გაიცანით ჩვენი სიმონ,
ქალალდებს შლის წარა - მარა
აკეთებს თუ არ აკეთებს.
დაფატურობს მაინც ჩქარა
კავშირიც ხომ უნდა ვნახო,
გამარჯობათ ყველას თქვენა
პასუხს არავინ იძლევა
დაუმუნჯდათ თითქოს ენა.
შესვლის უმალ ბუბაშვილმა
გადმინაბა ისე თვალი.
ბოროტია კაცის სული.
გულს მომედო ცეცხლის ალი.
ივლიანე არ შეგხედავს,
სამ დღეს იდექ თუ გინდ იქა.
დღედაღამე შრომისაგან
ამოგდებული აქვს სიქა.
ვარლამ ძმაო, ყური მიგდე
ასე მითხრა ჩემო ძმაო
შემთხვევაა მეტად ხშირი
კასაში რომ ფული არ მაქს
ჯიბეს აწევს გასაჭირი.
მოუწონე მას ეს აზრი
მოგონება მშვენიერი.
(ეჰ რამდენი არის—თურმე
დამალული მეცნიერი)
იქვე ერთი ოთახია
პატარაა როგორც ყუთი—
შიგ დამჯდარა ჩვენი კოსტა.
სწორეთ არის — ათი ფუთი.

ოკრიბელი რქიანი.

# ბათომი

ბათომის მუშკოოპს საწყალსა
გაჰკრეს-გამოჰკრეს კბილია.
ბლომად „გაიმასქნ-ამასქნეს“,
გემრიელი და ტკბილია.

სავაჭრო დარგის გამგეი
კეიგელუხისი სვიანი.
ბეჯითი, სპეცი, ვაჭარი
ზრდილი და თავაზიანი.

იცის მან ოპერაცია
დახლართულ-ჩახლორზიანი
და ამით მუშკოპს აჩვენა
ზარალი ლაზათიანი.

ჭურჭლეულობა იყიდა
გასულ იანვრის თვეშია;
კაი ხუთმეტი ათასი
ჩაჰყარა ამ საქმეშია.



მოსწყინდათ... ცრემლი ჩამოსდით:
ბოთლებს, საინებს, ჭიქებსა.
ერთი კი არსად აკლია
ჩამწკრივებულსა რიგებსა.

ნოქარს სულ სძინავს, რომ ეგებ
სიზმარში ნახოს მუშტარი...
ტარტაროზ, ამის შესახებ
მოსწერე მუშკოპს უსტარი.

**სორომი.**

# ხიდისთავი

— ხიდისთავი „ნიჩევო“ გვარიანი დაბაა!—მეუბნება ხიდისთაველი.

მდინარე გუბაზოულზე ხიდია. ხიდისთავთან მარჯვენა ხიდისთავია გაშენებული. ხიდი ფუტურისტ მხატვარის სურათს ჰგავს, ისე აქვს ეშვები აქეთ-იქით გაშვერილ-გამოშვერილი.

ეს ხიდი მრავალი რამით არის შესანიშნავია; მასზე ხშირად იციან „გამოლეჭვა“ (ტერმინი ხიდისთავისაა).

საერთოდ, ვაჟებს გამბედაობა ახასიათებთ, მაგრამ ქალებს რატომ არ ეშინიათ ღამით ხიდზე დიდი ხნით გაჩერება? ხიდის ქვეშ რომ ვინმემ დინამიტები შესდოს და ხიდი აფეთქდეს,—ეს ხომ დასაშვებია? მიადექი და მისდიე მერე ბოროტმოქმედებს! ვინ გამოეკიდება? ეს კი არა ნასაკირალზე ყოველ დღე ძარცვავენ მგზავრებს და ოზურგეთის მილიციას ამისათვისაც არ მოუცლია ჯერ.

„ნიჩევო“! ჩვენი ქალები შეჩვეული არიან! მეუბნება ხიდისთაველი.

თვალებს „მოგჭრის“ სახალხო სახლის კუბოს მგზავსი შენობა. „გარედან მტერს მოკლავს, შიგნიდან მოყვარეს“.

საზაფხულო თეატრია ნამდვილი. აბა როგორ შეგიძლია (თუ თავი არ გაქვს განწირული) ზამთარში ისხდე გამტვერულ ფიცარზე, ფეხები გაყინულ მიწაზე გქონდეს დაწყობილი, ორივე მხრივ ქარები გცემდეს.

„ნიჩევო“!—ამბობს ხიდისთაველი.

— ახალი ამბავი! ახალი ამბავი! მოქალაქენო! მოქალაქენო! **დღეს ხიდისთავის ისტორიული დღეა. დღეს განკურვნის იმედმა უნდა მოიცვას ჩვენი რაიონის ავადმყოფები.. დღეს, მხოლოდ დღეს ექიმი ჩიგოგიძე ნასვამი არ არის... ფხიზელია!** ყვირის ვიღაც..

კულტდაწესებულებების ეზოში კომუნარებია დასაფლავებული. საფლავი უბრალო მესერით არის შემოვლებული. ზედ კენჭები ბლომათაა დაყრილი. არც წარწერა და არც სხვა რაიმე ნიშანი.

— ნუ თუ ბრძოლაში განგმირულ რევოლიუციონერებს მეტი არაფერი ეკუთვნოდათ?!

— „ნიჩევო“! ჩვენი ძმები იყვნენ! —მიპასუხებს ხიდისთაველი.

ყველაფერზე ნიჩეგო, ნიჩეგო, და ამის შემდეგ ხიდისთავი მართლაც — „ნიჩეგო“.

— ექიმი და ლოთობა როგორ შეიძლება?!—მიკვირს მე.

— „ნიჩევო“! ჩვენი კაცია!— მიპასუხებს ხიდისთაველი.

**იანო.**

# უხერხული მდგომარეობა

(აკ. კიკნაძის სურათიდან)




**მოქალაქე:**—გავაწმენდინებ ამ ოხერს, მარა ვაი თუ სხვებმა უარესი მიყონ—მცემონ!?

# ჯოჯოხეთის კუთხე



## მეცნიერება და ტეხნიკა

დღეს, როცა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციებს ყველა იტაცებს, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ **მიქელპონში** (თქვენ გგონიათ ეს საზღვარ-გარეთ არის? ქუთაისის მაზრაშია) ასეთი ამბავი ხდება:

**ააშენეს სკოლა არც პატარა—დიდი;**
**წყლის გაღმაა იგი, წყალზე არ აქვთ ხიდი...**

მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლის სწავლას. გაკვეთილის ახსნის გადაცემა გაღმიდან გამოღმა განძრახულია მოხდეს რადიოს საშუალებით. აგრეთვე მოწაფეები იქნებიან შეიარაღებული გამადიდებელ სათვალეებით, რომლებითაც ადვილათ შეეძლებათ დაინახონ დაფაზე დაწერილი ციფრები და სიტყვები, ამგვარად, თავიდან აცლებული იქნება ხიდის გაკეთების საჭიროება.

ყველა ამის შემდეგ, ამხ. **იქაური** დაიმედებული უნდა იყოს, რომ გზების შეკეთება საჭირო აღარ არის და ნუ საყვედურობს:



**ჩვენ სოფლის იესვეურებათ**
**არიან ვანო, პლატონი;**
**ასე გგონიათ, რომ თითქოს**
**არიან ჩვენი ბატონი.**

## კესას „ემანსიპაცია“

დღეს პირდაპირ საოცრება ხდება გამოგონებებში. ადამიანი მარსზე და მთვარეზე აფრენას აპირებს. ასეთ დროს უბრალო, მიწიერ საკითხებს ყურადღება არ ექცევა.

დაუკვირდით თქვენ ხარს და ძროხას და მათ შორის დიდ განსხვავებას ვერ ნახავთ. ძროხა არის დედრობითი სქესის (დედალი) ხარი. ხოლო ხარი კი არის მამრობითი სქესის (მამალი) ძროხა.

ძროხა იძლევა რძეს. ხარი კი—არა. ძროხას უღელში არ აბამენ, ხარს—კი.

მარტო რძის საჭიროებისათვის ძროხის გაჩერება, ხოლო მარტო უღლისათვის ხარის ყოლა, სხვა რომ არ იყოს რა, ზარალს რომ თავი დავანებოთ,—ფუფუნებაა, რასაც დღეს სასტიკად ვებრძვით.

დღეს ჩვენ ვატარებთ რაციონალიზაციას—აპარატის გამარტივებას; დღეს ჩვენ ვტვირთავთ მუშა-მოსამსახურეებს სამუშაოთი...

ასეთივე უნდა ხდებოდეს ცხოვრების ყველა დარგში.

ჯერ-ჯერობით ეს მხოლოდ ჩოხატაურელ **კესამ** შეიგნო და როგორც **ღრიანკელა** გვატყობინებს, კარგი შედეგი მიუღია.

კესა ამბობს:



**ძროხა ხარისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია,**
**ხარად და ძროხად მოვიხმართ, ისე ვიქმნ როგორც მწადია:**
**სახნავ-სათესში და ტვირთში ატარონ მათ უღელია.**
**დავაბამ, რძესა მოვწველი,—რძიდან კეთდება ყველია...**

ასეც იქცევა კესა. ამ მოსაზრებებს იგი კიდევ ერთ არგუმენტს უმატებს: **დღეს ქალი და კაცი გათანასწორებულია. რატომ არ უნდა გათანასწორდენ ხარი და ძროხა!**

## ღვთის მეთოდით

სოფ. ხაშმი (გარე-კახეთშია) იმით არის შესანიშნავი, რომ, ჯერ ერთი, როგორც თვითონ სოფლის სახელი ამბობს, იქ არის ხაშმი და მეორეთ—სკოლაში სწავლა ხდება ღვთის მეთოდით, რომელიც შემოღებულია მასწავლებელ გიორგი ნახუცრიშვილის მიერ.

მართალია, როგორც გიორგის გვარი ამბობს, გიორგი ნახუცრიშვილია, ე. ი. ნახუცარი, ანუ ყოფილი მღვდელია, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს და ჩვენ ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. გიორგი ეხლაც მღვდელია და იგი არც ფიქრობს ანაფორის გახდას.




ანდა რატომ უნდა გაიხადოს? კაცი მასწავლებელიც არის და მღვდელიც. დილით სკოლაში „ასწავლის“ მოწაფეებს, ხოლო საღამოობით და კვირა- დღეს „მამაო ჩვენო“-ს და „ალილუია“-ს ღაღადებს საყდარში. (კარგადაც იქცევა; მადლობას უხდის თავის ღმერთს, რომ ხელი გაუმართა.. ჩვენ კი გვგონია, რომ მისი ღმერთი მიწიერი ღმერთია და გიორგისათვის მაგარ კედელსაც წარმოადგენს).

ერთმა **ცაცინათელამ** ეს დაინახა ხაშმში. და რა აღმოჩნდებოდა, რომ ვინმემ მუგუზალი შეანთოს! ალბად ბევრი რამ არის ასეთი „კარგი“ სანახაობა.

# გაჭირვების ნაბიჯი




## ცნობათა მიღება



**სხვაველ მეჩონგურეს** (სოფ. სხვავა. რაჭის მაზრა): ვერ არის კარგად მომართული თქვენი ჩონგური. მომართეთ სიმები კარგად და შემდეგ ვსინჯოთ. (ეს შარადის შესახებ).

რაც შეეხება იმას, რომ:

**ნოქარი დიპიანია,**
**ვერვინ სჯობს იმას ჭამაში;**
**დახლში ვერ ნახავთ ვერას დროს,**
**უყვარს კარტ-ნარდის თამაში,—**

ალბათ ეს იმიტომ, რომ:

**თემალმასკომში ბრძანდება**
**ჩვენი ამაყი ილია;**
**მას ძლიერ უყვარს გლეხების**
**მწარე დაცინვა, კილია.**

და ყველა ამის შემდეგ რაღა გასაკვირია:

**სამკითხველოში რომ დაგხვდეს**
**გამგე ყოველთვის მძინარი**
**და შიგ მკითხველის შესვლაზე**
**შიშით იკითხოს:—ვინ არი?**

**მაჩხკარეთელს:** არ დაიბეჭდება. რატომ? იმიტომ, რომ გურული სცენა მასე არ იწერება. (საერთოდ ტარტაროზს არ უყვარს სცენები' არც კერძო ცხოვრებაში).

**ელვას:** უმადური კაცი ყოფილხართ. მადლობის ღირსია თქვენი ცოლი და თქვენ კი, პირიქით. საყვედურს იუბნებით. ვერ გეტყვით ვისი შვილია. (ჩვენზე ნუ გექნებათ ეჭვი!).

თუ ცოლმა სხვა შეიყვარა და მასთან ცხოვრება უნდა, გაბედნიერებულხარ კაცი. ოთახზე მედავებიანო. დაუტოვე, რა ოხრად გინდა.

**კონსტანტინე ნოდიას:**—ვაცხადებთ მოქ. გაჩეჩილაძის საყურადღებოდ, რომ „ტარტაროზში" მასზე მოთავსებული ცნობა თქვენ არ გეკუთვნის.

**ი. ცეცხლიძეს:** ამნაირ ლექსებით სატრფო შეგიყვარებს კი არა—შეგიძულებს.

**ცარიელ კუჭს:** ჩვენ ვერ გაგვაკვირვებთ თქვენი ამბავით:

**ჩვენი მოლარე ანდრია ჯამაგირს ოთხი-ხუთი დღის დაგვიანებითაც არ გვაძლევს. ყველასთან ასეთი ამბავია:**



**— დრო არის და ჯამაგირი მოგვეცი, ძმაო ანდრია!**
**— ვა,რა დროს ჯამაგირია? ჯერ დარიგება ადრეა.**

არ იწერებით—სად ხდება ეს ამბავი, ისე კი გამოურკვეველია, რადგან ბევრია ასეთი მოლარეები.

**პაპას** (სადგ. ქიათურა):—თქვენი დეპეშა დაგვიანებით მივიღეთ და ამიტომ აქ ვათავსებთ:

**მოლარე ქალმა ვერიჩქამ უმატა მგზავრებიდან ხურდა ფულის შენარჩუნებას.**

**ამბობენ ახლო ხანში გათხოვებას აპირებს და მზითვების საყიდლათ ფულს აგროვებსო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიზეზი



— ჩვენს გამგეს დღეს ერთხელაც არ უყვირია... რაშია საქმე!?
— იმ თანხებში, რომელიც რევიზიამ მოთხოვა გუშინ!

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქუჩა, № 68.